დიადი ოქტომბრის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
პარასკევი
4
ნოემბერი
№ 258
(16998)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გუშინ, მოსკოვში, კრემლის ყრიდლობათა სასახლეში დამთავრდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა „საბჭოთა ხალხისადმი“ და მიმართვა „მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისადმი“, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი“.

საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხახელოვანი მესამოცე წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო და საბჭოთა მთავრობა მხურვალედ და გულითადად გილოცავთ თქვენ, ძვირფასო თანამემამულეებო, დიად დღესასწაულს, და გისურვებთ ახალ შემოქმედებითს მიღწევებს შრომაში, სწავლაში, საბჭოდრო სამსახურში, გისურვებთ სიხარულსა და ბედნიერებას!

ოქტომბრის იუბილეს საბჭოთა ხალხი ხვდება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როგორც თავისუფალი შრომის, სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების დღესასწაულს. ათასობით საწარმოო კოლექტივმა, მილიონობით შრომელმა 1977 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის ორი წლის დავალებანი. სახელი და დიდება შრომის გმირებს, ხუთწლედის გვარდიელებს!

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიისა და მისი მეთაურის — რევოლუციური აზრისა და მოქმედების გენიის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და ხელში აიღეს ძალაუფლება. ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი, გვაღწია, რომ იწყებოდა კაცობრიობის განვითარების ახალი, კომუნისტური ერა. ოქტომბრის მეხამოცე წლისთავს ჩვენთან ერთად აღნიშნავენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან წლებში, სოციალისტური მშენებლობის დროს, ფაშიზმთან სასტიკ ბრძოლებში საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს კომუნიზმის საქმის უდიდესი ერთგულება, არნახული ვაჟკაცობა, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობები. საუკუნოდ დარჩება ისტორიაში რევოლუციის გმირთა, ხუთწლედების დამკვრელთა, სამშობლოს მამაც დამცველთა, ყველა იმათი ხაგმირო საქმენი, ვისაც ძალ-ღონე და სიცოცხლეც კი არ დანანებია ხალხის აყვავების, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

საბჭოთა ადამიანების თავგანწირული ბრძოლითა და დაუცხრომელი შრომით შეიქმნა მძლავრი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, აშენდა მძლავრი, გეგმაზომიერად მზარდი ეკონომიკის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლების, ყველა კლასისა და სოციალური ფენის სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, ერთა და ეროვნებათა ურღვევი მეგობრობის საზოგადოება, მშრომელ ადამიანთა ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება.

ქვეყნის ისტორიული მიღწევები საკანონმდებლო წესით დაამკვიდრა სსრ კავშირის კონსტიტუციამ — მსოფლიოს პირველი სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადმა კანონმა. „ახალი კონსტიტუცია, — თქვა ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, — შეიძლება ითქვას, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სამოცი წლის განვითარების კონცენტრირებული შედეგია. იგი მკაფიოდ ადასტურებს, რომ წარმატებით ხორციელდება ოქტომბრით გამოცხადებული იდეები, ლენინის ანდერძი“. კონსტიტუციამ ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების მშრომელების ნება-სურვილი და ინტერესები გამოხატა. იგი კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის ნამდვილი მანიფესტია.

ჩვენმა ხალხმა ერთხულოვნად მოიწონა კონსტიტუცია, რითაც ახალი ძალით დაადასტურა, რომ მთლიანად და სავსებით უეჭერს მხარს საბჭოთა სახელმწიფოს, კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტიბიუროსა და მისი მეთაურის — დიდი ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებლის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის გამოჩენილი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიზანშეწონილ, ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ოქტომბრის საქმეს განაგრძობს და პარტიის ლენინურ კურსს ადგას, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გაორკეცდა ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, ახალ საფეხურზე ავიდა სოფლის მეურნეობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

საბჭოთა საზოგადოების მთელი ცხოვრება სკკპ XXV კონგრესის იდეათა შთამაგონებელი ზემოქმედებით მიმდინარეობს. საბჭოთა ხალხი უდიდესი ოპტიმიზმით შესცქერის მომავალს. წარმატებით წყდება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები — იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იხვეწება სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, უმჯობესდება საზოგადოების წევრთა ყოველმხრივი განვითარების პირობები.

ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით და ავითარებს მას, ჩვენი პარტია მტკიცეო გვიკვალავს მომავლის გზას. ლენინის დროშით, პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ შეექმენით განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, ვაშენებთ და ავაშენებთ კომუნიზმს. მტკიცდება პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა — ყველა ჩვენი გამარჯვების წყარო, კომუნიზმის სრული გამარჯვების გარანტია!

ოქტომბრის რევოლუცია, რეალური სოციალიზმის ცოცხალი მაგალითი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე. ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები. მსოფლიო სოციალიზმი თანამედროვეობის მძლავრ ძალად გადაიქცა, იგი ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის ბურჯია. კაპიტალთან კლასობრივ შეჯიბრებათა დროს ძლიერდება საერთაშორისო მუშათა კლასის როლი და შეკავშირება. მშრომელთა ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური და მუშათა პარტიები. სოციალიზმის გამარჯვებათა პირობებში, რომელთა შედეგად დასუსტდა იმპერიალიზმის პოზიციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დაამხვრია კოლონიური მონობის სისტემა, ბევრი ხალხი ადგება საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გზას. ოქტომბრის საქმე შთაგონებს სულ ახალ და ახალ მილიონობით რევოლუციურ მებრძოლს. იგი ცოცხლობს და იმარჯვებს, მიხია მოძმავალი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხახელმწიფო მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მთელი რევოლუციური, მშვიდობისმოყვარე ძალების მხარდაჭერით შეუპოვრად იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სოციალური პროგრესისათვის. ჩვენ კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ, რომ უზრუნველვყოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მშვიდობიანი პირობები, დავამკვიდროთ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები, აღვაკვეთოთ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე.

სახელოვანი იუბილეს დღეს ჩვენ მხურვალედ მოვუწოდებთ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, მშრომელ ქალებს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მამაც მეომრებს. ჩვენს ახალგაზრდობას კვლავაც ღირსეულად განაგრძონ ოქტომბრის საქმე, დაუცხრომლად განამტკიცონ დიადი სამშობლოს ძლიერება, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ძმობა!

ჩვენ მოვუწოდებთ მათ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ მეათე ხუთწლედის ეგეგმების წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშრომელს მტკიცედ იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, უფრო ფართოდ დანერგონ წარმოების მოწინავეთა გამოცდილება, იბრძოლონ მიწის, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონის, მოწყობილობის, ყველა მასალის. ყოველი წუთი სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის!

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს განამტკიცონ და განავითარონ სოციალისტური ცხოვრების წესი, თითოეულ საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგონ მაღალი იდეურობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, საბჭოთა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. სსრ კავშირის კონსტიტუციის განუხრელი დაცვა, შრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა თავიანთი საერთო-სახალხო სახელმწიფოს საქმეებში, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, თავისუფლებებისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ორგანული შეხამება ჩვენი ახალი გამარჯვებების საწინდარია.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ადამიანები ახალ წარმატებებს მიაღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას!

დაე განმტკიცდეს და აყვავდეს ჩვენი საშშოლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ გმირ საბჭოთა ხალხს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდი ლენინის პარტიას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

თბილისში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

8 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი.

დელეგაციაში, რომელიც საბჭოთა კავშირი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა, შედიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლუბომირ შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე ალოის ინდრა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იან ფოგტეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ია ბაგელკა, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სამდივნოს გამგე მიროსლავ ბენე, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის გამგე ოზეფ გამანი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილების გამგის მოადგილე, მიხეილ შტეფონიაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სამდივნოს გამგე ალექსანდრ კოლარჟი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ირჟი რიტერი.

მოძმე ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

საპატიო სტუმრებს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობაში ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. სავინკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ს. კოლესნიკოვი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისში ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს ეგებებოდნენ ქართველ ჩეხოსლოვაკიელ ხალხთან ერთად ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, ეროვნული ტანსაცმელით მოსილ ბავშვებთან ერთად ჩეხოსლოვაკიელ ტრანსპარანტებით: „ეკეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ძვირფასო ჩეხოსლოვაკიელო სტუმრებო!“ „მხურვალი სალამი მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წარმოგზავნილებს!“ „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას — ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მებრძოლ ავანგარდს!“.

ათასობით თბილისელი გამოვიდა ქალაქის საფეხმავლო მორთულ ქუჩებში, რათა მხურვალედ მისალმებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, გამოეთქვა ჩეხოსლოვაკიის ხალხებისადმი ორმხრივი ძმური მეგობრობის გრძნობები. (საქინფორმი).



სურათზე: თბილისის აეროდრომზე ხვდებიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გუსტავ ჰუსაკს.

ო. თორაძისა და გ. კიკვიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის გახსნის შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა გაიმართება 5 ნოემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე ჩამოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია 4 ნოემბერს იწყებოს დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, ჩიტაძის ქუჩა № 2, ტელეფონი 98-72-81.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებს, პარლამენტებსა და მთავრობებს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეხამოცე წლისთავის საზეიმო დღესასწაულობის დღეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო და საბჭოთა მთავრობა ყველა კეკეკნის ხალხებს, პარლამენტებსა და მთავრობებს მომართავენ მშვიდობისა და კეთილი ნების წერილით.

ექვსი ათწლეულის წინათ რუსეთში, ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის მიწა-წყალზე ომად სოციალისტური რევოლუცია და დაიწყო კაცობრიობის ხანუკვარი ოცნების განხორციელება — მშენებლობა საზოგადოებისა, სადაც შრომა თავისუფალია ექსპლოატაციისაგან, სადაც სუფევს სოციალური სამართლიანობა, სადაც ეროვნული შუღლის ნაცვლად ხალხთა მეგობრობამ გაიმარჯვა.

გაბედული, უმაგალითო იყო საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდეს ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა პარტიამ. დღეს, სამოცი წლის შემდეგ, ნათლად ჩანს: 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასი, მშრომელები ბოლშევიკების პარტიის წინამძღოლობით. დიდი ლენინის ძეთაურობით დაადგნენ ახალი ცხოვრების სწორ გზას. ისინი მეზღუბარე რევოლუციონერები და ახალი საზოგადოების გამჭრიახი ხუროთმოძღვრები იყვნენ.

პირველი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ამხედრდნენ ძველი სამყაროს მთელი რეაქციული ძალები. ცეცხლით და მახვილით, შიმშილითა და ბლოკადით ცდილობდნენ ლახვარი ჩაეცათ ჩვენი რევოლუციისათვის, ჩაექროთ ჩირაღდანი, რომელმაც მთელი მსოფლიო გააცისკროვნა. იმპერიალიზმის, რეაქციისა და ფაშიზმის ძალებთან სასტიკ შეტაკებებში, უდიდესი მსხვერპლის, მკაცრი განსაცდელისა და გაჭირვების ფასად ჩვენმა ხალხმა დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ოქტომბრის მონაპოვრები, სოციალიზმის მომავალი.

საბჭოთა ხალხის ტატანჯულმა მეცადინეობამ, მისმა მსხვერპლმა, მისმა უდრეკმა სიმტკიცემ ნაყოფი გამოიღო. ჩვენ ავაშენეთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ჩვენ შევქმენით მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, სადაც საამედოდ არის დაცული მშრომელთა ღვიძლი ინტერესები, ნამდვილად და სრულად გარანტირებულია თითოეული ერისა და ეროვნების, თითოეული მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები. საბჭოთა სახელმწიფოს სამოცი წლის განვითარების კონცენტრირებული შედეგია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია.

საბჭოთა ხალხი ამაყობს ყოველივე იმით, რაც მოიპოვა. დღეს ვისახავთ ახალ, უფრო მაღალ მიზნებს და ვარგად გვესმის ის პრობლემების ხირთული, რომლებიც უნდა გადავჭრათ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით მიდიან კომუნისტური იდეალის სრული განხორციელებისაკენ, რომელიც განსახიერებს ხალხთა მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

ისინი, ვინც 1917 წლის ოქტომბერში „კომუნისტთა პარტიას, ლენინს მიჰყვებოდა, თანამემდგრული ინტერნაციონალისტები იყვნენ. ისინი მარტო თავიანთი ხალხის ბედნიერებისათვის როდი იბრძოდნენ. ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შემოაბრუნა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა. საბჭოეთის შემდეგ სოციალიზმისა და სოციალისტური ორიენტაციის გზას დაადგნენ სხვა ქვეყნებიც — ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. დიდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წარმატებანი მოიპოვა საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. დაიმსხვრა კოლონიური სისტემა. დიდმა თუ პატარა ხალხებმა იწამეს თავიანთი ძალა, მოიპოვეს ხელმეუკარი უცილობელი უფლება, რომ თვითონ განაგებდნენ საკუთარ ბედს. ფართოვდება, მტკიცდება საერთო-დემოკრატიული ბოძრაობა. სულ უფრო ომახიანად გაისმის მშვიდობისმოყვარე ძალების, პროგრესული ახალგაზრდობისა და ქალების ხმა.

ჩვენ გულითადად, ძმურად მივესალმებით სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, რომლებთანაც გვაკავშირებს საერთო მიზნები და იდეალები, ურღვეკი მეგობრობა. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ხალხებს, რომლებმაც კოლონიალიზმს დააღწიეს თავი და ეროვნული აღორძინებისა და სოციალური პროგრესის გზას დაადგნენ. ღრმა სოლიდარობას ვუცხადებთ ხალხებს, რომლებიც კვლავაც გმირულად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მივესალმებით ჩვენს ძმებს — კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც თავიანთი ხაარსებო უფლებებისა და ინტერესებისათვის იბრძვიან.

ექვს ოქტომბრისშემდგომ ათწლეულში კაცობრიობამ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. სრულიად შეიცვალა მსოფლიო, მაგრამ დღესაც კაცობრიობას წინაშე დგას უმნიშვნელი პრობლემები, რომლებიც გადაჭრას მოელის.

კაცობრიობის გენიის მიღწევებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უსაზღვრო შესაძლებლობებს ახლა შეუძლია თითოეული ხალხისათვის, თითოეული ოჯახისათვის, თითოეული ადამიანისათვის უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრება. ამავე დროს ჯერ კიდევ ბევრ ქვეყანაში ადამიანთა უდიდესი მასების ხვედრია შიმშილი, სიღატაკე, ავადმყოფობა და უწიგნურობა, უუფლებობა და ხვალინდელი დღის შიში, უმწეო სიბერე. ძრავალი მილიონი ადამიანი განწირულია უმუშევრობისათვის, მოკლებულია ბუნებრივ უფლებას — შრომის უფლებას. პირისაგან მიწისა ჯერ კიდევ ადგგელი არ არის კოლონიალიზმის, ფაშიზმისა და რასიზმის ნაშთები. დაბოლოს, რაც მთავარია, არ მოსპობილა ახალი მსოფლიო ომის საშიშროება, არ ამოფხვრილა თერმოიკომური კატასტროფის საფრთხე.

მშვიდობისათვის მოწოდება საბჭოთა სახელმწიფოს დროშაზე წარწერილი იყო მისი დაბადების ჟამს, და აი უკვე ექვსი ათწლეულია იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაიცვას მშვიდობა. მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის განუხრელი ბრძოლა — საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ეს კეთილშობილური მიზნები დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. ასეთია ნება ჩვენი ხალხისა, რომელმაც კარგად იცის „ცხელი“ ომის ფასიც და „ცივი“ ომის ფასიც.

უკანასკნელი წლების მანძილზე ყველა იმათი ხაერთო მეცადინეობით, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მოხდა შემობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში კონფრონტაციიდან დაძაბულობის შენელებისაკენ. ურთიერთგაგებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისაკენ. მაგრამ გულარხეინობის საფუძველი არა გვაქვს.

დაძაბულობის შენელების გზაზე სერიოზული დაბრკოლებანია აღმართული. უგუნურად აჩქარებენ გამალებულ შეიარაღებას, რომელიც უადრესად საშიში ხდება. მილიტარიზმი არა მარტო ნთქავს კოლოსალურ რესურსებს, არამედ რეალურ საფრთხესაც უქმნის მთელ კაცობრიობას.

მძიმე პასუხისმგებლობას „ისრულობენ ისინი, ვინც სიმართლის ნაცვლად სიცრუეს, მეგობრობის ნაცვლად — მტრობას თესავს, ვინც მშვიდობის პოლიტიკის ნაცვლად კვლავ „ცივ ომს“ ქადაგებს, ვინც კაცობრიობას ატომური კატასტროფისაკენ უბიძგებს. ჩვენს ხაუკუნეში არ არის და არც შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობის ალტერნატივა.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყნის ხალხებს, პარლამენტებსა და მთავრობებს ყველაფერი იღონონ, რათა შეიერწყნ გამალებული შეიარაღება, აკრძალონ მასობრივი მოსპობის ახალ საშუალებათა შექმნა, დაიწყოს შეიარაღებასა და შეიარაღებული ძალების შემცირება, განიარაღება!

ჩვენ მოვუწოდებთ მტკიცედ იბრძოლონ მეტად საშიში კონფლიქტების უსწრაფესი და სამართლიანი მოწესრიგებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის ყველა კერის ლიკვიდაციისათვის!

ყველა ქვეყნის ხალხებო, მშრომელებო, კეთილ ნების ადამიანებო! მშვიდობის, დაძაბულობის შესუსტების, სოციალური პროგრესის საქმე საერთო ღვიძლი საქმეა! შეკავშირებასა და სიმტკიცეზე დამოკიდებული წარმატება! ომისა და რეაქციის ძალები უკან დაიხევენ მშვიდობასადმი გაერთიანებული მისწრაფების წინაშე! უკან უნდა დაგვხევინოთ მათ!

260-მილიონიანი საბჭოთა ხალხის სახელით საჯაროდ ვაცხადებთ:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი კვლავაც მთელი სიმტკიცით იბრძოლებენ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, შეიარაღების შემცირებისათვის, მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი კვლავაც იქნებიან ამათ მხარეზე, ვინც იცავს ხალხთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ვინც მხარს უჭერს ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის კეთილშობილურ იდეალებს.

ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირი კვლავაც თანამიმდევრულად იცავს მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის კურსით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ლენინის დროშით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

2 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შემდეგ დაიწყო გამოსვლები და მისალმებანი.

შეკრებილთა პირველმა მიმართა სკკპ წევრმა 1914 წლიდან, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების მონაწილემ **ნ. პ. ბოგდანოვმა.** ჩვენ, თქვა მან, ყველანი დიდი მღელვარებით ვისმენდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას, რომელშიც უაღრესად მკაფიოდ და შთამბეჭდავად არის ასახული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, უდიდესი ძალით არის გაშუქებული საბჭოთა ხალხის, იმ ადამიანთა გმირობის სიდიადე, რომლებმაც 60 წლის წინ დასაბამი მისცეს ახალ წელთაღრიცხვას.

ჩვენ, პარტიის ვეტერანებმა, გასაკუთრებული გრძნობით აღვიქვით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება. ყველას გულში ნაგრეხილი ლენინდ ილიას ძის შთამბეჭდავი სიტყვები ვეტერანების შესახებ.

ორატორმა გულთადად მადლობა გადაიხადა იმათდამი მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, ვინც ლენინური პარტიის დროშით მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლაში. დღეს, თქვა შემდეგ ნ. პ. ბოგდანოვმა, ჯერ კიდევ თვალწინ გვიდგება ის მბრძოლი დღეები. და ყველაზე ნათელ, ყველაზე ძვირფას მოგონებად შემოგვრჩა შეხვედრები ვ. ი. ლენინთან. ბოლშევიკთა პარტიის სიბრძნემ და გამჭრიახობამ, ბელადის გენიამ ბრძოლისა და გამარჯვების უტყუარი გზა გვიჩვენა. ისტორიულად მოკლე ვადაში ჩვენმა სამშობლომ საუკუნეთა დარი გზა განვლო და მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

გული სიამაყით გვევსება, როცა ხედავ, **თუ რა ერთსულოვნებითა** და აღმავლობით, **რა** მონდომებითა და თავდადებით აბორიგელებენ **ხაბჭოთა** ადამიანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რა ენთუზიაზმით ებრძვიან ისინი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ-ახალ მიჯნებს. ყოველივე ეს თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ პარტიის სამე ხალხის ღვიძილი საჭმეა.

ამ საზეიმო დღეს, თქვა ორატორმა, მინდა განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნო საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მოზზადარი ორი უდიდესი მოვლენის განუყრელი კავშირი. როცა 1918 წელს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შუშაავებული პირველი საბჭოთა კონსტიტუცია დაამტკიცა, სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ მშრომელი ხალხის ხელისუფლება დააკანონა და გამოაცხადა დიდი მიზანი — სოციალიზმის აშენება. ჩვენ, ყრილობის მონაწილენი, მაშინ დარწმუნებული ვიყავით, რომ დადგიმდა დრო, როცა ამ მაღალ მიზანს მივაღწევდით და საბჭოთა ადამიანებს გადასაწყვეტი ექნებოდათ ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები. ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ მიღებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს ბანად დასახა უკლესო კომუნისტური საზოგადოების აშენება. მან დამაჯერებლად დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს სახალხო ხელისუფლების, სოციალისტური დემოკრატიისა და ნამდვილი ჰუმანიზმის პრიციპების გამარჯვება.

ბოლშევიკური მაღლობა პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლენინდ ილიას ძეო, იმისათვის, რომ კონსტიტუციაში ხორცშესხმული ლენინის საქმის, რეალურ ცხოვრების საქმის გამარჯვება, ჩვენი სწრაფვა კომუნისტური მომავლისაკენ.

ტრიბუნაზე ავიდა პოლონეთის ერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ედვარდ გიროკი,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. დიდი ოქტომბრის რევოლუციის რევოლუციის მე-60 წლისთავი, თქვა მან, მთელი პროგრესული კაცობრიობის საერთო ღღესასწაულია. ყველაფერი, რასაც კაცობრობამ მიაღწია განვლილი 60 წლის მანძილზე, მთელი მისი პროგრესი განუყრელად დაკავშირებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა-განვითარებასთან და პოლიტიკასთან.

ოქტომბრის რევოლუცია, აღნშნა ორატორმა, ისტორიულ გადატეხას მოასწავებდა ადამიანის ცხოვრებაში. ოქტომბრიელებმა ბოლშევიკურ მოძღვრებაზე აღბეჭდა ადამიანის თავისუფლების ლოზუნგი. სწორედ სოციალიზმის ქვეყნების თანეული მოქალაქე გულდაჯერებთ შეჰყურებს თავის ხელანდელ ღეს, სარგებლობს მთელი სოციალური უფლებებით, პიროვნების ვალდებულება განვითარების შესაძლებლობებით. სწორედ ჩვენ ქვეყნებში ეკუთვნის ხელისუფლება ხალხს, იმას, ვინც თავისი ხელით ქმნის მატერიალურ და ეროერ ღირებულებებს.

მშრომელთა უფლებებისა და ბედისუფლებების ყველაზე მკაფიო გამოხატულება გახდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. მაგრამ უმაღლესი დადასტურება პოვა ვიდმის პროგრამამ, რომელ-ც განუხრელად ახორციელებს ბჭოთა კავშირის კომუნისტური ტია. ჩვენ, ხაზი გაუსვა ე. გ-ემ, მთელი კაცობრიობის ინ-რსებებისათვის კვლავაც ძალ-ინის დაუზოგავად ვიბრძოლებთ პროგრამის, ლენინიზმის იდეებ ხორციშესხმისათვის. ეს კომუ-ტთა წმიდათაწმიდა ვალია.

ე. გერეკმა მხურვალედ მიუფლა საბჭოთა ხალხს, მეს ლენინურ ტიას და პირადად ამხანაგ ი. ბრეჟნევს სახელოვანი იუ-და ფუსურავ შეხვედრაში მიღ-ები და ახალი წარმატებანი ონისტურ მშენებლობაში.

ეიტანის კომუნისტური პარ-ის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლე ზუანმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, ვიეტნამის პარტიის, მთავრობისა და ხალხის სახელით მხურვალედ მიუღოცა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთავრობასა და მომძე საბჭოთა ხალხს.

ახლა საბჭოთა კავშირი უმძლავრესი სოციალისტური სახელმწიფო გახდა, თქვა ორატორმა. საბჭოთა ქვეყანაში შეიქმნა ახალი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობა, როცა მთელი საზოგადოების ინტერესები ჰარმონიულად არის შეხამებული პიროვნების ინტერესებთან. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც საზოგადოების, ბუნებისა და საკუთარი ბედის ბატონპატრონნი არიან, შეგნიერი, საამური ცხოვრებით ცხოვრობენ და შემოქმედებითად შრომობენ სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და სამართლიანობის პირობებში.

ეს დიადი მიღწევები, ხაზი გაუსვა ლე ზუანმა, მაკეთილ აისახა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში — უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტში. რომელიც დამაჯერებლად მოწმობს, რომ სოციალისტური დემოკრატია ისტორიისათვის ცნობილ ყოველგვარ დემოკრატიაზე მილიონჯერ დემოკრატიულია და გვიჩვენებს კომუნისტური საზოგადოების უბრწყინვალეს პერსპექტივებს, რომლებიც ოქტომბრის სამშობლოს წინ გადაეშალა.

ლე ზუანმა ილაპარაკა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის აშენებისათვის ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაზე და დამსწრეთ შეახსენა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კომუნისტებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ვიეტნამთან სოლიდარობა გულისა და გონების მოთხოვნა იყო და არის და ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უცვლელ ერთგულებას ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი. ამხანაგ ბრეჟნევის ეს განცხადება, თქვა ორატორმა, შთაგონების წყარო ვიეტნამელი ხალხისათვის, რომელიც ქვეყნის აღსადგენად იღგწის.

ორატორმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მომძე საბჭოთა ხალხს მრავალმხრივი, დიდი და ეფექტიანი დახმარებისათვის, რომელსაც ისინი ვიეტნამელ ხალხს უწევენ.

სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ერიხ ჰონეკერს.**

ოქტომბრის რევოლუცია ჩვენი საუკუნის მთავარი მოვლენაა, თქვა ორატორმა. დღეს თვითონ ცხოვრება ადასტურებს, რომ მეოცე საუკუნე პროლეტარიატის ისტორიულ გამარჯვებათა საუკუნეა, პროგრესის საუკუნეა, სოციალიზმის საუკუნეა. და ამაში მთავარი დამსახურება მიუძღვით კომუნისტთა ლენინურ პარტიას, დიდ საბჭოთა ხალხს.

რომელ სხვა ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს ესოდენ ბრწყინვალე შედეგს, მსოფლიოს რომელი სხვა პარტია იბრძოდა ასე თანამიმდევრულად და თავდადებით იმისათვის, რომ მშრომელ კაცს უკეთ და უფრო ბედნიერად ეცხოვრა! დედამიწაზე არ არის სხვა ისეთი ქვეყანა, თქვა ე. ჰონეკერმა, სადაც ასე თავისუფლად სუნთქავდეს ადამიანი, ქვეყნად არ არის სხვა ისეთი პარტია, რომელიც ასე წარმატებით იბრძოდეს მუშა კაცის ბედნიერებისათვის!

ე. ჰონეკერმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის — ეროგული ლენინელის, მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობას სკკპ XXIV და XXV ყრილობებზე წამოყენებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციისათვის, და განაცხადა: სრული რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, რაკი კომუნისტები უდიდესი მიზანსწრაფვითა და თანამიმდევრობით იბრძვიან მშვიდობის საქმისათვის, უეჭველად შეასრულებენ ჯერ კიდევ ლენინის მიერ დასახულ უმთავრეს ამოცანას — დაამყარებენ ქვეყნად მტკიცე და სტაბილურ მშვიდობას.

დასასრულ ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის, კარლ ლიბკნეხტისა და ერნსტ ტელმანის სამშობლოში, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს აღნიშნავენ როგორც მთელი ხალხის საერთო დღესასწაულს. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მარადიულმეგობრობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შენებლობაში მიღწეული და მომავალი წარმატებების საწინდარია.

სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ **გუსტავ ჰუსაკს.** ჩვენ, თქვა მან, ჯეროვან პატივს მივაგებთ ისტორიულ რევოლუციურ მონაპოვრებს, რომლებსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია მომძე საბჭოთა ხალხმა. თქვენთან ერთად, განგრძო ორატორმა, ჩვენ გულწრფელ სიხარულსა და ბედნიერებას განვიცდით ძლევამოსილ რევოლუციურ გზაზე მიღწეული წარმატებების გამო, რომლებიც უბადლოა კაცობრიობის ისტორიაში. შემოქმედებითად ავითარებთ რა ოქტომბრის უკვდავ იდეებს და თანამიმდევრულად ახორციელებთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში, თქვენ დიადი საბჭოთა კავშირისა და ევროპის სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებულია მსოფლიოს პირველი სოციალისტური ქვეყნის წარმატებებში. ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მკაფიო და ორმაშინაარსიან მოხსენებაში დაწერილებით არის ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახლობანი. უნებურად აღტაცებასა და სიამაყეს განიცდი ამ წარმატებებისათვის.

სოციალისტურ რევოლუციას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა დრობა, გარდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა. ამ დროშის ერთგულმა სახალხო ბელგარეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის შენებლობაში, განაგრძო ორატორმა. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი დანგითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს.

ოქტომბრის იდეები განაგრძობს ძლევამოსილ წინსვლას. იმპერიალიზმის ავოლოგიტები ვერ შეაჩერებენ მას. ოქტომბრის შუქი უნათებს ხალხებს სოციალიზმის, მშვიდობის, პროგრესის გზას.

ჩვენ მოდამ თქვენთან ვიქნებით, ძვირფასო საბჭოთა ფიფი და ძმებო, დამამთავრა თავისი გამოსვლა ტოდორ ჟივკოვმა. სოციალისტური ბულგარეთი მუდამ სოციალიზმის ბურჯი იქნება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე ძლევარ პოლიტიკურ ძალად გადაიქცია, თქვა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ალვარო კუნიალმა,** რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტული პირობების განსხვავების მიუხედავად, ყველა სოციალისტურ რევოლუციის ძირითადი საერთო ნიშნები აქვს. ეს, აღნიშნა მან, დამაჯერებლად დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძლევამოსილი ბრძოლის მაგალითმა, პარტიისა, რომლის ისტორიულ გამოცდილებას ქმნშა რიტად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

პორტუგალიელ კომუნისტთა ხელმძღვანელობა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან პორტუგალიელი მშრომელები რევოლუციის გამარჯვებისათვის, შინაური და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ დიმოკრატიული ძალების კონსოლიდაციისათვის. იმპერიალიზმი ცდილობს რადაც უნდა დაეჯდეს ბათილად ადგინოს და შეისუსტოს პორტუგალიის რევოლუციური მოძრაობა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ გზად მან აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა ცილისწამება, აღიარებსნილი ანტისაბჭოურობა.

მაგრამ რეაქცია, რომელიც ცდილობს ხელი აიღებინოს ჩვენს პარტიას ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებზე, მიზანს ვერ მიაღწევს, თქვა ორატორმა. პორტუგალიის კომპარტიას თავისი პატრიოტული და ინტერნაციონალური საქმიანობა ბანეყოფლად მიაჩნია. ჩვენ ულოცავთ თანელოვან ეუბილეს საბჭოეთს — ვ. ი. ლენინის სამშობლოს და ვაცხადებთ: პორტუგალიის კომპარტია ყოველთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის მხარეს იქნება და ერთგულად ემსახურება ოქტომბრის დროშას.

დასასრულ ამხანაგმა ა. კუნიალმა გამარჯვება უსურვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მძლეთამძლე იდეალებს.

სიტყვა ეძლევა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ **ლუის კორვალანს,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ამ დღეებში ყველა პატიოსანი ჩილელის თვალი მოსკოვისადმი არის მიპყრობილი, თქვა მან. მათი გულისთქმა ეხმაურება ყველა საბჭოთა ადამიანისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულისთქმას, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს დღესასწაულობენ.

ზამთრის სასახლის იერიშის შემდეგ განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა გმირულად გადაიტანა ყველა ქარიშხალი და განსაცდელი და განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება ააშენა. საბჭოთა კავშირში, განაგრძო ორატორმა, დამოკრატია ზღაპარი კი არ არის, სინამდვილეა. ისინი რეალურად არის უზრუნველყოფილი და სულ უფრო თანთოვდება. საბჭოთა მოქალაქე დღეს გაუშინდილზე უკეთ ცხოვრობს და მატიკად სწამს, რომ ხვალ უკეთ იცხოვრებს.

ლენის კორვალანმა უდიდესი მადლობა გადაიხადა სოლიდარობისათვის, რომელსაც ჩილელ ხალხს უწევენ საბჭოთა ხალხი, მისი მთავრობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიუროს და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

თავისი გამოსვლა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანმა დაამთავრა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის სიტყვებით: გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილ დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

დარბაზი გულთბილად შეხვდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ **ნიკოლაე ჩაუშესკუს.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი რვ წლის მანძილზე, თქვა მან, საბჭოთა კავშირმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა საწარმოო ძალების განვითარებაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, მიაღწია მეცნიერებისა და კულტურის უპირველესობას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში თვალსაჩინო მიღწევათა შედეგად ბარეთვე თავისი მშვიდობისმოყვარეული საგარეო პოლიტიკის წყალობით საბჭოთა კავშირი თიმინაშენელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ცხოვრებაში, სოციალიზმისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში. რუმინეთ-საბჭოთა კეთილი ურთიერთობის განვითარებაში, ხაზი გაუსვა ორატორმა, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზეხვედრებმა, რომლებიც ჩვენ გვქონდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან, მტკიცედ გვწამს, რომ სოციალისტური რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის, რუმინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრობა და თანამშრომლობა კიდევ უფრო მტკიცე, ნაყოფიერი იქნება ჩვენი ხალხების, სოციალიზმის საერთო საქმის, მთელი მსოფლიოს პროგრესისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ჩვენი ხალხი ამაყობს იმ ისტორიული ფაქტით, რომ ერთერთმა პირველმა მიიღო დიდი ოქტომბრის ესტაფეტა და დაწყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის. განაცხადა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ **იუმჟაგინ ცედენბალმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ჩვენს ფანდიერ ქვეყანაში მომხდარი გარდაქმნები და მისი შემდგომი აყვავების შთამაგონებელი სპერპექტივები — ეს, უწინარეს ყოვლისა, მონღოლ მშრომელთა შესანიშნავი მიღწევებია, მათი რევოლუციური ენთუზიაზმის შედეგია, ამასთანავე, და ამას ჩვენ ამაყად ვაცხადებთ, ეს არის მონღოლი ინტერნაციონალისტა და საბჭოეთის მუშათა კლასის ურღვევი კლასობრივი კავშირის ნაყოფი, ჩვენი ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობის ნაყოფი. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელიც შეარყევდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური მონღოლეთის ხალთა სამარადისო ურღვევი მეგობრობასა და ძმურ კავშირს.

ე. ცედენბალმა საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტსა და მშრომელს ახალი შესანიშნავი გამარჯვებანი უსურვა კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ზეიმისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა ჩეხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი ამხანაგი **რაულ კასტრო რუსი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. კუბელი ხალხი, თქვა მან, დიდი ოქტომბრის იუბილეს აღნიშნავს შესანიშნავი შრომითი ალმავლობით, პოლიტიკური შინაარსის ღონისძიებებით. ამით კუბელი ხალხი ჯეროვან პატივს მიაგებს საბჭოთა ხალხს, რომელმაც განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ააშენა და კომუნიზმის გზას ადგას.

ჩვენ პატივს მივაგებთ საბჭოთა საბჭოეთის, განაგრძო ორატორმა, ამის ყველაზე ბრწყინვალე მაგალითს, რის მიღწევაც შეიძლება საზოგადოებრივ-ისტორიულ განვითარებაში, საბჭოეთის, სადაც ყოველი მოქალაქე სარგებლობს ადამიანის ფასდაუდებელი უფლებებით — განათლების, შრომის, ბინის, სამედიცინო მომსახურების უფლებებით, და საბოლოო ანგარიშით, ადამიანის შესაფერი სიცოცხლის უფლებით. ყველაფერი ეს ისახა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომლის შემოქმედი მთელი საბჭოთა ხალხია.

ჩვენ დიდად ვაფასებთ სიბრძნეს, სიმტკიცეს, ვიდაცობას, პრინციპულობას, გამბედაობას და ჰუმანიზმს ლენინური პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ადგას, ხაზი გაუსვა ორატორმა. ჩვენ მივესალმებით ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელიც დაუცხრომლად ახმარს მთელ თავის გამოცდილებას, მთელ თავის ნებისყოფასა და მთელ თავის ნიჭს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მშვიდობის საქმეს, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ახალ გამარჯვებათა მოსაწევად სულ უფრო ხელშეწყობი პირობების შექმნისათვის ბრძოლას.

კუბელი კომუნისტების, მთელი კუბელი ხალხის სახელით ბოლოს ალტრო რუსმა განაცხადა: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის, ამ ისტორიული ფაქტის ფარგლებში, ჩვენ ვაფასებთ ამ ფაქტის ფასეულობას, ეს ფაქტი ეხმიანება ჩვენ ყველაზე ღრმა ფენებს

ლენინის დროშით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საზეიმო სხდომა კრემლის ყრილოგათა სასახლეში

ბიბლიოთეკა

მოსკოვი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა კრემლის ყრილობათა სახასლეში 2 ნოემბერს გამართული კონცერტი. ხუროთმოძღვარ ეროდიას ეროვნულურ-ჭორეოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელსაც დიდი შთაგონებით ასრულებს კონცერტის უველა მონაწილე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

(დასასრული)

უწევდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში, და რომელსაც უწევენ სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ეპოქალური მოვლენაა, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, თქვა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომიტეტის წევრმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **ლიმ ჩუნ ჩუმ**, რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახლანდელ გამარჯვებებს მანამდე გაუკვალავი გზით მიაღწია.

დიდმა ოქტომბერმა პლანეტის ჩაგრულ ხალხებს შთაგონა ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის ძალები განუხრელად იზრდება იმპერიალისტური რეაქციის იმ ცდების მიუხედავად, რომ გათიშოს და ძირი გამოუთხაროს მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობას.

ორატორმა მთელ პროგრესულ ანტიიმპერიალისტურ ძალებს მოუწოდა შემდგომი შეკავშირებისათვის. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის კორეელი ხალხი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, აღნიშნა, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ამ სამართლიან ბრძოლაში საბჭოთა ხალხმა, რომლისადმიც კორეელი მშრომელები გამსჭვალული არიან ღრმა და გულწრფელი მადლიერების გრძნობით. საბჭოთა ხალხთან რევოლუციური ძმური მეგობრობა შეესაბამება ორივე ქვეყნის, მთელი პროგრესული კაცობრობის ინტერესებს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით, საბჭოთა ხალხს ხელმამართული აფრიელი ხალხი კვლავაც იბრძოლებს კომუნიზმისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის, თქვა დასასრულ ორატორმა.

ტრიბუნაზეა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი **გუს ჰოლი**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. 60 წლის წინათ ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი, თქვა მან. ამ არაჩვეულებრივმა ვარსკვლავმა თავისი სხივებით კაცობრიობის განვითარების გზა გააცისკროვნა. სამოცი წლის მანძილზე შუქი, რომელსაც ეს ვარსკვლავი აფრქვევს, კიდევ უფრო აკაშკაშდა, ხოლო მისი ზემოქმედების ორბიტა კიდევ უფრო გაფართოვდა. და დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია კაცობრიობის ევოლუციის თანავარსკვლავედში. თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის სამოცი წელი და თქვენი ახალი კონსტიტუცია ცოცხლად ადასტურებენ, რომ სოციალიზმი უმაღლესი მიღწევაა სოციალურ განვითარებაში.

ორატორმა აღნიშნა, რომ ორი მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემის ეკონომიკური შეჯიბრებისა და ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობის პირობებში მილიონობით ადამიანს საბჭოთა კავშირი მიაჩნია სოციალიზმის განსახიერებად, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები — მონოპოლისტური კაპიტალიზმის განსახიერებად. წლითიწლობით საბჭოთა კავშირი აღწევს სულ უფრო მეტ გამარჯვებებს კაცობრიობის პროგრესის დარგში, მათ შორის ცხოვრების უკეთესი პირობების უზრუნველყოფაში, ამის ყველაზე ფართო გაგებით. და ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებს — ქვეყანას, რომელიც მონოპოლისტურ კაპიტალს განასახიერებს, სულ უფრო ცოტა რამ რჩება საამაყო. მთელი მეცადინეობის მიუხედავად, იგი კვლავ და კვლავ ცხადყოფს, თუ რას იწვევს კაპიტალიზმის საერთო კრიზისი — სიღატაკე, რასიზმს, ავბედით ჯარიმოულობა და სამოცპროცენტიან უმუშევრობას ამერიკის ქალაქების გეტოებში, ამერიკის კორპორაციათა მიერ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ექსპლოატაციას. დიდი ბიზნესის მესვეურნი ყოველივე ამის მიჩქმალვას ცდილობენ დემაგოგიური ლაყბობით სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებების შესახებ.

საბჭოთა კავშირმა, თქვა დასასრულ გ. ჰოლმა, სამართლიანად მოიპოვა ყველა იმათი დიდი პატივისცემა და ნდობა, ვინც იბრძვის სოციალური პროგრესისათვის. და ახლა, დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის დღეს, ჩვენ მთელი სიმტკიცით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სსრ კავშირი მუდამ იქნება სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის მანათობელი ვარსკვლავი.

დიდი ოქტომბრის ყოველი წლისთავი შთამაგონებელი დღეა, თქვა პარაგვაის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ამხანაგმა **ანტონიო მაიდანამ**, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ხოლო იმათ, ვინც უძნელეს პირობებში, იატაკქვეშეთში, ეს ისტორიული თარიღი განსაკუთრებულ ძალას მატებს ჩვენი იდეალებისათვის ბრძოლაში.

პარაგვაის კომუნისტური პარტია, რა პირობებშიაც უნდა ემუშავა მას, მუდამ აღნიშნავდა ოქტომბრის სახელოვან წლისთავს. მთავარი, რაც ჩვენ გვამხნევებდა ფაშისტურ დილეგებში 19 წლის ყოფნის მანძილზე, — ეს იყო საბჭოთა კავშირის გამარჯვებანი და თქვენი წარმატებანი. ისე, როგორც მზე სჭირდება ჩვენს პლანეტას, განაცხადა ა. მაიდანამ, ასე სჭირდებათ ყველა ქვეყნის მშრომელებს, კომპარტიებს საბჭოთა კავშირი და თქვენი კომუნისტური პარტია.

საპატიმროში ჩვენი ყოფნის წლების მანძილზე მთელი ეპოქა გავიდა: კუბის რევოლუციის სახელოვანი გმირები, რაც პირველია ჩვენს კონტინენტზე, ვიეტნამელი ხალხის გმირული ძლევამოსილი ომი, ჩილეს რევოლუციის წარმატება, სამხედრო-ფაშისტური ძალების მიერ მისი სისხლიანი ჩახშობა, ფაშისტური რეჟიმების ლიკვიდაცია პორტუგალიაში, სპერნიეთში, ესპანეთში. ცივი ომიდან დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება — უწინარეს ყოვლისა განხორციელდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უდიდესი მეცადინეობის მეოხებით.

დილეგებში ჩვენამდე მოაღწია სკკპ XXV ყრილობის კეთილშობილურმა მოწოდებამ: „თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტყვეებს!“ — მოწოდებამ, რომელშიც მოხსენიებული იყო ჩვენი სახელებიც. და აი ჩვენ აქ ვართ, თქვენთან, საბჭოთა ამხანაგებო, თქვენთან, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულო ამხანაგო კომუნისტებო. და ვსარგებლობთ მაღალი პატივით მონაწილეობა მივიღოთ ამ დიდ კრებაში.

ბოლშევიკური პარტიისა და მისი მეთაურის — დიდი რევოლუციონერის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მომხდარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, თქვა ალეირის ხალხთა დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრმა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის აპარატისათვის პასუხისმგებელმა ამხანაგმა **მოჰამედ ხალაბ იაპიაიუმ**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი გახდა. საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევები, საბჭოთა ხალხის უზარმაზარი წარმატებანი საქმით ადასტურებს ოქტომბრის რევოლუციის იმ კეთილშობილური იდეალების დიად ძალას, რომლებიც ამეფეს უსაზავენ ხალხებს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, რასიზმის, სიონიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალეირელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა და სოლიდარობა, რომლებიც თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის ბრძოლამ შვა და განამტკიცა, კვლავაც ვითარდება და მტკიცდება როგორც ორი მეგობარი სახელმწიფოს ნაყოფიერი თანამშრომლობის ფარგლებში, ისე ორი პარტიის ურთიერთობის დარგშიც.

გვისურვებთ, თქვა დასასრულ მოჰამედ სალაჰ იაპიაიუმ, შემდგომი გამარჯვებანი მოგებოვებინოთ საკკ ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით, რომელიც ძალ-ღონეს არ ზოგავს ქვეყნად პროგრესისა და მშვიდობის განსამტკიცებლად. ვსარგებლობთ ამ ბედნიერი შეაძლებლობით და ალეირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის, მთავრობისა და ხალხის სახელით გვინდა კიდევ მეგობრულად მოგიილოცოთ თქვენ და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღება, რომელმაც ხორცი შეასხა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს და სანუკვარ ოცნებათა განხორციელების ახალი ჰორიზონტები გადაუშალა მოძმე საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა კავშირის ხალხებთან და მის კომუნისტურ პარტიასთან ერთად ჩვენ ვამაყობთ სოციალისტური განვითარების წლებში სსრ კავშირის მიერ მიღწეული არნახული წარმატებებით, თქვა გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ამხანაგმა **ჰერბერტ მისმა**, რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგ ლენინიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში განსაზღვრულმა შთამაგონებელმა პერსპექტივებმა.

ოქტომბრის 60 წელი — ეს არის სოციალური პროგრესისა და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ექვსი ათეული წელი. ეს არის სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა განხორციელების, ნამდვილი დემოკრატიის ექვსი ათეული წელი. ეს არის მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის ბრძოლის ექვსი ათეული წელი, განაგრძო ორატორმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტებს შუდამ ეხსომებათ, თუ რას უნდა უმადლოდეს ჩვენი ხალხი მუშათა და გლეხთა პირველ სახელმწიფოს. ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლება, ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის მრავალრიცხოვანი საბჭოთა ინიციატივები, „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადება — ყოველივე ეს უდავო ფაქტებია.

ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების განხორციელება, განაგრძო ორატორმა, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ჩვენი ქვეყანა დაადგება საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი, მეგობრული თანამშრომლობის გზას.

ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები შეუთავსებელია ანტისაბჭოურობის ყოველგვარ გამოვლინებასთან. ამ ვეშმარტებას ჩვენ ვაცხადებთ სოციალური და დემოკრატიული უფლებების დაცვისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საშიში მემარჯვენე ტენდენციებისა და ნეონაციზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **აზიზ შუჰამედი**, რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, თქვა ორატორმა, დაამსხვრია კაცობრიობის ბორკილი, შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო, სადაც სრულად განხორციელდა ადამიანთა ჭეშმარიტი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის პრინციპები. ძლევამოსილმა ოქტომბერმა გამოაღვიძა საუკუნეთა მანძილზე მთვლემარე აღმოსავლეთის ქვეყნები, და მათ შორის ერაყიც.

საბჭოთა კავშირი გახდა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ერაყელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის ბურჯი. ორატორმა განაცხადა, რომ ერაყისა და საბჭოთა კავშირის კეთილი ურთიერთობა განუწყვეტლივ ვითარდება. ეს დამკვიდრებულია ორ ქვეყანას შორის დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით.

სსრ კავშირი არაბული ქვეყნების ერთგული მეგობარია, რომელიც მუდამ უანგაროდ ეხმარება მათ ყველა დარგში. საბჭოთათან კავშირის გარეშე არაბი ქვეყნები ვერ მიაღწევენ სამართლიან მიზნებს, რომელთა შორის ახლა მთავარია ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიათა განთავისუფლება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა.

ორატორმა თქვა, რომ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები ყოველნაირად ცდილობენ დეზინფორმაციისა და ცილისწამების მეშვეობით დაამახინჯონ სსრ კავშირის ჭეშმარიტი როლი, ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობის განვითარებას. მაგრამ ეს ცდები გარდაუვალად ჩაიფუშება. მსოფლიოს ხალხები მარად აღდგებენ ლენინის პარტიას, ოქტომბრის ქვეყანას — მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედს, თქვა დასასრულ ორატორმა.

იემენელ ხალხი ფართოდ იყენებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილებას, მეცნიერული სოციალიზმის თეორიას, განაცხადა იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციის — ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ალდელ ფათაჰ ისმაილმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

დღეს დემოკრატიული იემენის ხალხს, თქვა შემდეგ ორატორმა, მტკიცედ სწამს, რომ სწორია ლენინის თეზისი რაკაპიტალისტური გზის, როგორც სოციალისტური პერსპექტივის მქონე ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის გზის შესახებ.

ალდელ ფათაჰ ისმაილმა დაახასიათა ახლო აღმოსავლეთის რაღაცნაირ პოლიტიკური ვითარება და აღნიშნა, რომ იმპერიალიზმი, სიონიზმი და საერთაშორისო რეაქცია ცდილობენ ხელი აიღებინონ პროგრესულ რეჟიმებს მეგობარ საბჭოთა ხალხთან კავშირის ლოზუნგზე, პროვოკაციულად იწვევენ ლოკალურ ომებს. მაგრამ იემენს სწორად მიაჩნია მშვიდობიანი დიალოგის პოლიტიკა, რომელიც მოაგვარებდა არსებითს პრობლემებს.

ჩვენი რევოლუცია, თქვა დასასრულ ორატორმა, კვლავაც პრინციპული და მტკიცე იქნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. იგი მხარს დაუჭერს ბრძოლას ჩაგრის, ჩამორჩენილობის, უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ. იემენელი ხალხი მტკიცედ აღგას მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე ისეთი ავანგარდული პარტიის შექმნის გზას, რომელიც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ნაწილი გახდებოდა.

დარბაზი გულთბილად შეხვდა ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს ამხანაგ **აარნე საარინენს**. არც ერთ მოვლენას არ მოუხდენია ფინელი ხალხის ბედიღბალზე ისეთი დიდი და გადამწყვეტი გავლენა, როგორიც ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა, თქვა მან. მისი ერთ-ერთი პირდაპირი შედეგი იყო ფინეთის მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვება. ფინეთის მუშათა კლასი თავის დიდ მოკავშირესთან, რუსეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან ერთად, რომელსაც ბოლშევიკების პარტია და მისი მეთაური ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდნენ, მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა თავისი ხალხის უფლებებისა და დამოუკიდებლობისათვის. ვ. ი. ლენინის სახელი ახლობელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სწორედ ვ. ი. ლენინმა მოაწერა ხელი 1917 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობის ისტორიულ დეკრეტს ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

ორატორმა თქვა, რომ ფინეთის კომუნისტური პარტია თითქმის 60 წლის წინათ შეიქმნა. თავისი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე ფინეთის კომპარტია მხარს უჭერდა საბჭოთა სახელმწიფოსთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა დღეს იმის კარგი და დამაჯერებელი მაგალითია, თუ რა შედეგი მოჰყვა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ-პრინციპს.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მე-60 წლისთავს ფართოდ აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობაც. ფინეთის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას, რომელიც სათავეში უდგას სოციალიზმის პირველგამკვალავს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმის პიონერს — საბჭოთა ხალხს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, კერძოდ ჩვენი პარტიისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა კაცობრიობის ისტორიის მსვლელობა. მან შეარყია იმპერიალისტური კოლონიური სისტემის საფუძვლები. ყველა ხალხი, რომლებმაც კოლონიური უღელი მოიშორეს, უსაზღვროდ ემადლიერება საბჭოთა ქვეყანას, თქვა გვინეის დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, განათლებისა და კულტურის საკითხთა მინისტრ-კოორდინატორმა ამხანაგმა **მამადი კეიტამ**, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

მან განაცხადა, რომ დემოკრატიული პარტია, გვინეელი ხალხი დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის წვლილს გვინეის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ორი ქვეყნის ახლანდელი ურთიერთობა შეიძლება მეგობრობისა და ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიმუში იყოს.

გვინეელი ხალხი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალს საბჭოეთის წარმატებებს. ორატორმა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების ბრწყინვალე ნიმუში უწოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღებას. ოქტომბრის სამშობლოს ძირითად კანონში მკაფიოდ შეისახა ხორცი დიდი ლენინის ანდერძმა.

ორატორმა გამარჯვება უსურვა გვინეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, დღევანდელობა უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ხალხთა ერთიანობა, თქვა შემდეგ ორატორმა, ოქტომბრის რევოლუციის ფასდაუდებელი მონაპოვარია, და ვამაყობთ, რომ ვმონაწილეობთ ამ ბრძოლაში, რათა განვავრცოთ ლენინის სიქმე. ამიტომ მობამბიკილი ხალხი ფრელიმოს სახელმწიფოს ქმნის სოციალიზმის მატერიალურ და იდეოლოგიურ ბაზას, აშენებს სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოს.

დასასრულ მარსელინო დუშ სარტუშმა მხურვალედ მიულოცა საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი და აღუთქვა, რომ ფრელიმოს პარტია, მოზამბიკის მთავრობა და ხალხი მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობმოყვარეულ პოლიტიკას.

ისტორია მრავალი მოვლენით არის აღსავსე, რომლებმაც ღრმა ავალი დატოვეს მთელი მსოფლიოს განვითარებაში, თქვა კონგოს შრომის პარტიის საბჭოდრო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პარტიის საქმიანობის კოორდინაციისათვის პასუხისმგებელმა, კონგოს სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა **დენნ სასუ-ნგუესომ**, რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. მაგრამ ისტორიაში არა ყოფილა ისოდენ მნიშვნელოვანი და მთელი კაცობრიობისათვის ხელშემწყობი მოვლენა, როგორიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციაა.

კონგოელი ხალხი, რომელიც მუდამ დიდი ინტერესითა და სიმპათიით ეკიდებოდა საბჭოთა ხალხის ისტორიულ ბრძოლას სამართლიანი და აყვავებული საზოგადოების აშენებისათვის, მხურვალედ მიესალმება ახალ საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც აჯამებს თქვენი პარტიის, ხალხის მიღწევებს პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგში.

ჩვენ მხურვალედ და გულწრფელად მივესალმებით დიდი ოქტომბრის სამშობლოს, თქვა ორატორმა, და ამასთან დაკავშირებით ვოცხადებთ ჩვენს რევოლუციურ, გულის სიღრმიდან ამომავალ მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც კონკრეტული მეგალითით დაამტკიცა, რომ ჩაგრულ ხალხებს შეუძლიათ დაამხონ კაპიტალიზმი და აამენონ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოება.

არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეუტანია ისეთი დიდი წვლილი მშვიდობის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლ ებ ი ს საქმეში, როგორიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეიტანა, თქვა ისრაელის კომუნისტური პარტიის (ენერალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **მეერ ვილნერმა**, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. ოქტომბრის რევოლუციის მომენტიდან დღემდე სსრ კავშირი ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯია. ამიტომ მიგვაჩნია, განაცხადა ორატორმა, რომ დამოკიდებულება ლენინის პარტიისადმი, ოქტომბრის რევოლუციის ქვეყნისადმი ინტერნაციონალიზმის ოქროსფერი კრიტერიუმია.

ჩვენი ბრძოლისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საყოველთაო საქმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკდრისი პასუხი გავცეთ ანტისაბჭოურ პროპაგანდას, ვინც უნდა ეწეოდეს მას: იმპერიალისტები თუ ისრაელის მმართველი სიონისტური წრეები, რაციონალური არაბი ლიდერები თუ მაოისტები ან სხვა ჯურის მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნისტები.

გამოსვლაში ორატორი შეეხო ახლო აღმოსავლეთის პრობლემას. გამოცდილება მოწმობს, თქვა მან, რომ სსრ კავშირის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია დამყარდეს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, რომ პალესტინის არაბი ხალხის მონაწილეობის გარეშე ლაპარაკი მშვიდობის შესახებ ფუჭი იქნება. მ. ვილნერმა თქვა, რომ აუცილებლად უნდა გაიმართოს ენევის საზავო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს კონფლიქტში ჩათრეული ყველა მხარე, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.

თავისი ქვეყნის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით საბჭოთა ხალხს ძმურად მიესალმა **არგენტინის კომუნისტური პარტიის** გენერალური მდივანი ამხანაგი **ხერონიმო არნედო ალვარესი**, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ სხდომის მონაწილენი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიული როლი მარტო მისი მაგალითის გამარეოლუციურებელი ძალა, ახალი ტიპის მძლავრი სახელმწიფოს შექმნა კი არა, არამედ ის არის, რომ ძლევამოსილმა ოქტომბერმა დამაჯერებლად ცხადყო: რევოლუციის პროცესის ძირითად ნიშნებს საყოველთაო ხასიათი აქვთ და შეიძლება ყველგან იქნეს გამოყენებული თითოეული ქვეყნის ეროვნულ თავისებურებათა შესაბამისად. მარქსიზმ-ლენინიზმი, ხაზი გაუსვა ორატორმა, მარად ცოცხალი მოძღვრებაა, რომელიც მთელი თანამედროვე რევოლუციური მოძრაობის იდეურ-თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

მოძმე პარტიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბჭოთის ნამდვილი დემოკრატია ცოცხალი მაგალითია მთელი კაცობრობისათვის. საბჭოთა ხალხის ძალაუფლება დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა. ეს ახალი ძალით დაადასტურა სსრ კავშირში ძირითადი კანონის გახნილვამ და მიღებამ, კანონისა, რომლის ეჭშმარიტი შემოქმედი მთელი საბჭოთა ხალხი გახდა.

ორატორი შეეხო არგენტინის კომუნისტთა, მუშათა კლასის ბრძოლას დემოკრატიისათვის, ფაშისტთა ბანდების ტერორის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ძნელია, მაგრამ ამ ბრძოლაში არგენტინელ მშრომელებს შთაგონებს საბჭოთა ხალხის მაგალითი, რომელმაც თავის ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება ააშენა.

ოქტომბრის რევოლუცია, განაცხადა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ხარილაოს ფლორაკისმა**, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ სხდომის მონაწილენი, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა. მსოფლიო კეთილობა გახდა აგრეთვე პროლეტარიატის განმათავისუფლებელი როლი, მარქსიზმ-ლენინიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. საბერძნეთის მშრომელები არ ივიწყებენ, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაჩაჩარა საბერძნეთის მუშათა კლასის პარტიის — საბერძნეთის კომუნისტური პარტიის შექმნის პროცესი.

დღეს, განაგრძო ორატორმა, განსაკუთრებით დიდია იმ მემკვიდრეობის მნიშვნელობა, რომელიც მუშათა მოძრაობისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა დაგვიტოვა. სწორედ მან გაიყვანა პირველი სოციალისტური ხომალდი რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ქარიშხალში და შექმნა საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი ლენინის უკვდავი მემკვიდრეობის ორკეშტსმაა. ჩვენ ვსწავლობთ, განაცხადა ორატორმა, და ვისწავლით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან ახალ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების ხელოვნებას.

მრავალტანჯულ ბერძენ ხალხს საბჭოთა კავშირი მშვიდობისათვის, ომის საშიშროების წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალების ბურჯად მიაჩნია. ბერძენი ხალხი ცხოვრობს რაციონში, სადაც არა წყდება იმპერიალიზმის ჩარევა და ზრკვები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. სწორედ ამიტომ იგი დიდად აფასებს სსრ კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ომის გაჩაღების საშიშროების თავიდან აცილება, მშვიდობის კლიმატის შენარჩუნება, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ნაყოფიერი საქმიანობის მეოხებით დღენიადაგ უმჯობესდება საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატი, თქვა საბრეთ აფრიკის ეროვნული კონგრესის პრეზიდენტის მოადგილეობის შემსრულებელმა ამხანაგმა **ოლივერ ტამბომ**, რომელსაც საზეიმო სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

აფრიკის ეროვნული კონგრესი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, დიდ მადლობას და მადლიერებას უცხადებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მთელ საბჭოთა ხალხს თანამიმდევრული, ყოველმხრივი და სულ უფრო მზარდი ბრძოლისათვის. ამ მზარდაზრას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, რათა სამხრეთ აფრიკის ჩაგრულმა და ექსპლოატირებულმა ხალხმა მტკიცე ბრძოლა გააჩაღოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

აფრიკის ეროვნული კონგრესი და სამხრეთაფრიკელი ხალხის სახელით ო. ტამბომ მხურვალედ მიულოცა ყველა საბჭოთა ადამიანს, პირადად ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი.

ჩვენ აგრეთვე ვულოცავთ საბჭოთა ხალხს, თქვა დასასრულ ორატორმა, უდიდეს ისტორიულ მიღწევებს. მათგან უკანასკნელს— სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომლის დებულებანი მოწმობენ დიდი ოქტომბრის იდეების კიდევ ერთ ტრიუმფს.

ტრიბუნაზეა სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხანაგი **იუსუფ დადუ**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, თქვა მან, ეპოქალური მოვლენაა კაცობრობის ისტორიაში. ჩვენ ჯერ-ჯერობით ვამაყობ ამ ბრძოლაში ხალხს, რომელმაც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო ბრძოლით უზრუნველყო რევოლუციის გამარჯვება და საძირკველი ჩაუყარა კომუნისტურ საზოგადოებას.

ჩაგრული ქვეყნების წარმომადგენლები დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებას, რომელსაც ისინი გვიწევენ ნვენს ბრძოლაში, ლენინის მოძღვრება ეროვნულ საკითხზე ის ფუნდამენტია, რომელსაც ემყარება ჩვენი კომპარტიის პროგრამა და პოლიტიკა, განაცხადა ორატორმა. ჩვენმა ხალხმა თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ გადაწყვეტა ლენინური პრინციპების განხორციელებამ ეროვნული საკითხი სსრ კავშირში.

მე წილად მხვდა დიდი პატივი გამოვსულიყავი საზეი

წინსვლის დიდი გზა

მოგვიწოდებს, აღგვაფრთოვანებს



ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტბიუროს მდივნის მოადგილე ნ. დუნდუა საქსოვი საამქროს მუშებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას.

ᲤᲝᲢᲝ: ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲣᲥᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ ინტერესით მოვისმინეთ სკოკ-ის ოქტომბრის ზეგზეზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმამნიშვნელოვანი მოხსენება, რომელმაც ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ოებილეს წინ განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმი დაეუფლა ყველას ჩვენს კოლმეურნეობაში. წელს ჩაის სარეკორდო მოსავალი მოვიწიე — 0,98 ჰექტარზე 22 ტონა ჩაის ფოთოლი მივიღე.

ახლა ვემზადებით ჩაის ფოთლის კრეფის მომავალი სეზონისათვის, რადგანაც ამთავითვე უნდა შევქმნათ საფუძველი ფაილად უხვი მოსავლის მისაღებად.

ლ. ᲑᲐᲠᲗᲘᲐ,

ᲒᲝᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონის ხოფლ გაქედლის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ: ზემოთ — თბილისის ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა; ქვემოთ — ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ გენერალური რეპეტიცია: ეთერი — სოლისტი მაია თომაძე, აბესალომი — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი ალექსანდრე ხომერიკი.

Ვ. ᲛᲘᲠᲝᲑᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ დიადი ქვეყნის ისტორია ოქტომბრით იწყება. მესამოცე წლისთავის სიმაღლიდან საბჭოთის მიერ გადალილ გზას თვალს რომ ვაგლეთ, მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ ძველ და ახალ თაობებს, რომელთა შემოდოებამაც ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

ტელევიზიით ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებას რომ ვისმენდით, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება ადამიანის კეთილდღეობისათვის. პარტია განუხრელად იბრძვის მშვიდობისათვის, რომ მომავალმა თაობებმა არ იცოდნენ რა არის ომი. ეს არის საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი პარტიის პოლიტიკის მთავარი მიზანი. ოქტომბრის მე-60 წლისთავზე საბჭოთმა მსოფლიოს მშვიდობის ახალი დიდი პროგრამა გაეცნო და უჩვენა, რომ იგი ამ პროგრამის განუხრელი შემსრულებელი იქნება.

მე ძველი თაობის კაცი ვარ და კარგად მახსოვს ის ძნელი და რთული გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ამ ათწლეულების განმავლობაში განვლო. ამიტომ უფლება მაქვს დღეანდელ ახალგაზრდა თაობას ვუთხრა, რომ ჩვენმა სამშობლომ დღეს თავისი განვითარების არნახულ საფეხურს მიაღწია და ბედნიერებით მიაბიჯეს იმ ნთელი მიზნისაკენ, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია, მიხარია, რომ ამ გზაზე გადაცემული ესტაფეტა სამოდო ხელშია.

Ი. ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐ,

სკკპ წევრი 1918 წლიდან.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ

ᲓᲦᲔᲡ მთელი ჩვენი ხალხის გულისყური დიდი ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავის ზეიმისკენ არის მიმართული. დიდის ყურადღებით მოვისმინეთ და წავიკითხეთ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმად შთამბეჭდავი მოხსენება, რომელშიც მოცემულია საბჭოთა ხალხის მთელი გმირული წარსული და აწმყო, განსაზღვრულია მისი როლი კაცობრიობის ისტორიაში, მოცემულია საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, დახასიათებულია ჩვენი საშობლოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ნაჩვენებია წინსვლის ნათელი გზა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოხსენების ღრმა აზრი ყველა ჩვენგანს სიამაყის გრძნობას განაცდევინებს და ახალ შრომითს აღმავლობას გამოიწვევს საშობლოს, ხალხის, უკეთესი მომავლის სადიდებლად.

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔ,

კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.) სოფელ მახარაძეში ამ დღეებში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც სოფლის მშრომელებთან ერთად ესწრებოდნენ რაიონული აქტივის წარმომადგენლები. მიტინგი მიეძღვნა ძმოწიფავე კოლმეურნეობისათვის საბჭოთა კონსტიტუციის სახელის მიკუთვნებას. მიტინგი შესანიშნავი სიტყვით გახსნა სახალხო დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. თენეიშვილმა, რომელმაც მიულოცა სოფლის მშრომელებს კოლმეურნეობისათვის სანატიო სახელის მიკუთვნება.

მიტინგზე სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ქარჩილაძემ, მოწინავე კოლმეურნემ მ. თოიძემ, საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. შუბლაძემ და სხვებმა აღფრთოვანება გამოთქვეს კოლმეურნეობისათვის საბჭოთა კონსტიტუციის სახელის მიკუთვნების გამო.

Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲛᲘᲔᲥᲪᲕᲜᲐ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.) დიდი მოწონება ხვდა „ისტორიის საღამოს“, რომელიც ეაკ-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი მასწავლებლის ოლღა ნონიაევის ხელმძღვანელობით მოაწყეს.

ნორჩმა ისტორიკოსებმა დამსწრეთ უამბეს ოქტომბრის რევოლუციაზე, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, პირველი ხუთწლედების ამაღელვებელ დღეებზე, სამამულო ომის გმირულ ეპოპეაზე.

საღამოზე გამოიყენეს კინოკადრები, დიაპოზიტივები, წაიკითხეს რუსი, უკრაინელი და ქართველი პოეტების ლექსები. შეკრება მუსიკალურად გაფორმეს ე. გათენაშვილმა და მეცხრეკლასელმა მარინე ზარიძემ, მხატვრობა ჟუთვნოდა მეთოკლასელ ხ. ივანიშვილს.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲘᲐᲠ ᲭᲔᲠᲥᲕᲔᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ—ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ, ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი წლევანდელ სეზონს განახლებულ შენობაში ხსნის. გაზეთ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორესპონდენტთან საუბარში თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ᲘᲠᲐᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ თქვა:

— თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი თავის საკუთარ კერას დაუბრუნდა. მშობლიურ ჭერქვეშ სეზონს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერით“ ვხსნით.

სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ახბაიფარაშვილი, დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ყორდანიას, მხატვრული გაფორმება — თეატრის მთავარ მხატვარს მ. მალაზონიას.

მართალია, ბოლო წლებში თეატრს არ ჰქონდა მუშაობის შესაფერი ტექნიკური პირობები, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია კონტაქტი და შემოქმედებითი თანამშრომლობა ჩვენს კომპოზიტორებთან. შეიქმნა რამდენიმე საყურადღებო საოპერო თუ საბალეტო ნაწარმოები.

ახალ სეზონში თეატრი დადგამს ო. თაქთაქიშვილის ოპერას „მთვარის მოტაცება“. ამ დღეებში მაყურებელი ნახავს ს. ცინცაძის ახალ ბალეტს „სვანური ლეგენდას“, რომელიც, დადგა თეატრის მთავარმა ბალეტმაისტერმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ალექსიძემ, დირიორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ფალიაშვილი, მხატვარი — ი. გეგეშიძე. გ. ალექსიძე დადგამს აგრეთვე ა. ჩაიკოვსკის „შნელლენჩიკს“. (სპექტაკლის მხატვარია გ. ალექსი-მესხიშვილი, დირიორი გ. აზბაიფარაშვილი). საბალეტო დასი მუშაობს აგრეთვე რ. გაბიჩავაძის ახალ ბალეტ „მედეაზე“, მზადდება კ. ორბელიანის ბალეტი თანამედროვე თემაზე („უკადავება“). სეზონის ბოლოსათვის მაყურებელს ვიხილავენით მ. �sky ოპერა „ბორის გოდუნოვს“.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, წარმოვადგენთ ცნობილ კლასიკურ საოპერო და საბალეტო ქმნილებებს.

თეატრის [illegible] ველოდებით!

ბუნებრივია, წლეულს ბევრი მაყურებელი გვეესტუმრება. განსაკუთრებული შეობის ნახვას ველოდებოდ.

ჩვენმა ყველა მომზეურალმა, ბალეტის მსახიობმა თუ მუსიკოსმა იცის, რომ გამორჩეული სეზონი იწყება, რომ ამ სეზონში მაღალი ოსტატური, დახვეწილი ხელოვნებით უნდა ვემასპინძლოთ ჩვენს მაყურებელს. ეს იქნება ჩვენი პასუხი ამ დიდ გულისხმიერებაზე, იმ მზრუნველობაზე, რაც ჩვენი თეატრისადმი გამოიჩინეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მთელმა საზოგადოებრიობამ. თეატრის დიდებული შენობა, აღჭურვილი საუკეთესო ტექნიკით, ვალდებულებას გვაკისრებს [illegible] ნდომებით წარმოვადგინოთ ჩვენი რესპუბლიკის [illegible] ოპერა.

ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲗ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ; ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐ „ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘᲗ“ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐ: ᲔᲗᲔᲠᲘ — ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲗᲝᲛᲐᲫᲔ, ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ III კურსის სტუდენტი ალექსანდრე ხომერიკი.

Ვ. ᲛᲘᲠᲝᲑᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲖᲔ

ᲛᲐᲪᲮᲘᲡ ᲛᲔᲛᲓᲔᲒ...

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲕᲔ „კომუნისტის“ ნომერში ვიუწყებოდით, უეფას თასის გათამაშების საპასუხო მეოთხესმეტედფინალურ მატჩში თბილისის „დინამო“ მეორედ მოუგო დანის „ბკ კოპენჰაგენს“ გუნდს. თამაშის შემდეგ „კომუნისტის“ კორესპონდენტები შეხვდნენ დინამოელთა და სტუმრების მთავარ მწვრთნელებს, მატჩის მხაჯს და კომენატორს. აი რა თქვეს მათ ამ ახალგაზრდობის შესახებ:

ᲛᲐᲠᲘᲝ ᲐᲡᲢᲝᲠᲘ („ბკ კოპენჰაგენის“ უფროსი მწვრთნელი): რა თქმა უნდა, გამარჯვების არ ვეოდი, მაგრამ მატჩის მსვლელობის დროს გამოჩნდა, რომ ფრეს მიღწევა შეიძლებოდა. კარგად ითამაშა ჩვენმა მეკარემ ოლე კვასტატა და მეორე ტაიმში გამოსულმა სორენ ანდერსენმა, დინამოელებიდან კი განსაკუთრებით მანონჩარ მაჩაიძემ და დავით ყიფიანმა. მე ვფიქრობ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სად გამართავ პირველ მატჩს, რადგან ეს უპირატესობას ანიჭებს პირველად სტუმრად მოთამაშე გუნდს. რაც შეეხება თბილისელ მაყურებელს, ეფიანადოდ გეტყვიდი — მე მსგავსი ორაფერი მინახავს. აქაური მაყურებელი სპორტულად დიდად განათლებული ყოფილა. ამაში მაშინ უფრო დაეარწმუნდი, როცა ჩემს გუნდს თამაშის უკანასკნელი 20 წუთის განმავლობაში რამდენჯერმე დაუკრეს ტაში.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲡᲘ („დინამოს“ უფროსი მწვრთნელი): მოხარული ვარ, რომ უეფას თასის გათამაშების მესამე წრეში გადვედით. რა თქმა უნდა, მომავალი მოწინააღმდეგენი უფრო ძლიერნი იქნებიან. ამიტომ ჩვენი წარმატებით გამოსვლა ევროპულ ტურნირში დიდად იქნება დამოკიდებული საკავშირო ჩემპიონატის ორ დარჩენილ მატჩზე. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მზადებას 10 ნოემბრიდან 23 ნოემბრამდე და 23 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე (უეფას თასის მერვედფინალური თამაშები ამ რიცხვებში გაიმართება). აქვე ვიტყვი, რომ გუნდის სათანადოდ მოსაზადებლად ამ პერიოდში კარგი იქნებოდა ოთხი სპარიოზული მატჩი მაინც რომ გვეთამაშა.

ᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲛᲐᲢᲡᲝᲜᲘ (მატჩის მხაჯი): თბილისის „დინამომ“ კარგად ითამაშა და მატჩის მანძილზე გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. ანგარიში ძალთა თანაფარდობას არ გამოხატავს, რადგან დინამოელებს უფრო მეტი გოლის გატანა შეეძლოთ. ძალიან მომეწონა ყიფიანისა და ბუციკაძის თამაში. მატჩი სამსაჯოდ ძალიან ადვილი გამოდგა. იტყობა თბილისელმა მაყურებელმა კარგად იცის თამაშის წესები. ყოველივე ეს ვგრძნეთ ტრიბუნების რეაქციებში. თამაში იყო კორექტული და მშვენივრად ორგანიზებული. პროფესიონალი ეკონომისტი ვარ. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 31 მატჩი ვამსაჯე. ვაყოფილვარ ბევრ სახელმწიფოსა და ქალაქში. თბილისი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ყოფილა. ბედნიერი ვიქნებოდი კიდევ ჩამოვსულიყავი თბილისში და ჩემი მასპინძლები ყოფილიყვნენ სპორტკომიტეტის თანამშრომლები წარსულში სახელოვანი სპორტსმენები ითამაშეთ ჭკუასელი და კარლო ყრუაშვილი, ხვალ ალბათ ერთხელ კიდევ გავიცნობ ლამაზი თბილისის ქუჩებში.

ᲗᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ (მატჩის კომენატორი, საერთაშორისო კატეგორიის მხაჯი): თამაში მეტად კორექტული იყო. თბილისის დინამომელებმა ძალუბი დაზოგეს, რადგან პირველი მატჩი დიდი ანგარიშით ჰქონდათ მოგებული. ჩინებული ოსტატობა გვიჩვენა ყიფიანმა — ჩეხეთიის მიერ გატანილი ორი ბურთი მისი დამსახურებაა. წლეულს თბილისელთა რამდენიმე მატჩს ფაქსიერებოდი როგორც კომენატორი. თბილისს „დინამო“ ახალგაზრდული კოლექტივია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. გუნდს ალუკვა მისი მწვრთნელის ნოდარ ახალაციის შემოქმედებითი ხელი.



ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲧᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „დინამოს“ ფეხბურთელებთან ერთად თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ „აუსტრია“ (ვენა), „ანდერლექტი“ (ბელგია), „პორტო“ (პორტუგალია), „პიოლიკი“ (უელსი), „რეალ-ბეტისი“ (ესპანეთი), „ეიალე“ (დანია) და „ტვენტე“ (ჰოლანდია).

ამ გუნდებისათვის წელისყრა გაიმართება იანვრის დამდეგს, ხოლო მეოთხედფინალური მატჩები — პირველ და 15 მარტს.

* * *

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს“ მეტოქეს უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალში წელისყრა დღეს დაასახელებს, თამაშები კი გაიმართება 23 ნოემბერსა და 7 დეკემბერს. ამ ტურნირის მერვედფინალში აგრეთვე გავიდნენ — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია), „ბარსელონა“ (ესპანეთი), „მაგდებურგი“ (გდრ), „ბასტია“ (საფრანგეთი), „ინტერატატი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ), „ასტონ ვილა“ (ინგლისი), „იპსვიჩი“ (ინგლისი), „ინტერატატი“ (ბრაუნშვაიგი, გფრ), „კარლ ცეისი“ (გდრ), „ᲐᲪ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „ბავარია“ (გფრ), „ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი), „სტანდარდი“ (ბელგია), „ტორინო“ (იტალია), „ლანი“ (საფრანგეთი).

* * *

ᲔᲕᲠᲝᲪᲘᲡ ჩემპიონთა თასზე ბრძოლას განაგრძობენ „ლივერპული“ (ინგლისი), „ბრიუგე“ (ბელგია), „ალკმაარი“ (ჰოლანდია), „ბორუსია“ (მენხენგლადბახი, გფრ), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „იუვენტუსი“ (იტალია), „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი), „სვაროვსკი-ვაკერი“ (ავსტრია).

ᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ უმაღლესი ლიგის ხაკავშირო ჩემპიონატი. გუნდებმა ითამაშეს დარჩენილ ორ-ორი მატჩი.

გუშინ გაიმართა ორი მათგანი— მოსკოვის „ლოკომოტივი“ — ბაქის „ნეფტჩი“, ლენინგრადის „ზენიტი“ — ლვოვის „კარპატი“. ორივე მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ᲢᲣᲠᲜᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲐᲛ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნე დაიწყო სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა. პირველი შეხვედრა ლოს-ანჯელოსში მან წააგო „ატლეტიკის“ კლუბთან — 84:93 (36:44). მატჩს 12,5 ათასი მაყურებელი ვესწრებოდა. ჩვენი გუნდი, რომელიც ძირითადად ახალბედებით არის დაკომპლექტებული ოქიახეს გადმა „კიდევ 12 მატჩს გამართავს.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ, 2 ნოემბერი. (საკ.კორ.). ქალაქ პასადენის (კალიფორნიის შტატი) პოლიციამ გამოაცხადა, რომ ეძებს ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში ბობი ფიშერს, რომელიც სამართალშია მიცემული ჟურნალ „ამპასადორ რიპორტის“ რეპორტიორი ქალის ცემისათვის.

სპორტს ჩამოშორებულმა და კალიფორნიის სამხრეთ რაიონში ინკოგნიტოდ მცხოვრებმა ფიშერმა, რომელსაც 1975 წელს ჩემპიონთა ჭადრაკის გვირგვინი, ამ ცოტა ხნის წინათ გადაწყვიტა თავისი შეხედულებები რელიგიაზე ჩამოეყალიბებინა ჟურნალში, რომელიც იქ გამოდის. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი გაბოდავდა მისთვის ჩვეულო მანერით. მან ბრალად დასდო ამერიკელ ოფიციალურ, ჩემპიონობის ინტერვიუ ჩამოართვა, რომ ამ უკანასკნელმა თითქოს არ გაიოთხოვა. ეს, სეტყვარი მაგნეტოფონის ფირზე ფიშერმა მოსთხოვა მას ხელი მოწერა შესაბამისი განცხადებისათვის. როცა ოფიციანტმა უარი თქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე, იგი შეიჭრა მის ბინაში და რამდენჯერმე სილა გაუწია.

ჟურნალის კორესპონდენტმა საქმე სასამართლოს გადასცა, ამასთან დაამტკიცა, რომ მაგნეტოფონი ფიშერის თვალწინ იყო საუბრის დროს, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს მოელის დიდი ფულადი ჯარიმა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲛᲔᲥᲘᲫᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

Ⓜ. Ⓔ. ᲚᲐᲨᲮᲘᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲒᲐ ᲐᲚᲐ ძველი ბოლშევიკი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის აქტიური მებრძოლი, სკკპ წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მაკარ ეგნატეს ძე ლაშხია.

მ. ლაშხია დაიბადა 1892 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში, ღარიბი გლეხის ოჯახში, სადაც ზმირად იკრიბებოდნენ რევოლუციონერები. სწორედ მათი ზეგავლენით გაეცნო იგი მარქსისტულ ლიტერატურას და აქტიური რევოლუციური საქმიანობაც დაიწყო.

1917-1921 წლებში იგი სათავეში უდგას პარტიზანთა მეთაურებულ რაზმებს. მეტად რთულ პირობებში იარაღით ამხარებენ ზუგდიდელ ბოლშევიკებს. ყოველივე ამის გამო იგი ოთხჯერ დაუსაბამრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მ. ლაშხია აქტიურად მუშაობს სამაზრო მილიციის სამმართველოს ოფიციალურ, მილიციის სამმართველოს უფროსად, რაიონ ბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. სხვადასხვა დროს იგი ხელმძღვანელობდა კორეცელის კოლმეურნეობას, სასოფლო საბჭოს, სამეურნეო დაწესებულებებს. ძრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის წევრად, რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატად.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს სამშობლოს წინაშე მ. ლაშხიას დამსახურება — იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წოდების ორდენებით, მედლებით, სიპატიო სიგელებით.

სპეტაკი კომუნისტის, გულთბილი ამხანაგის მ. ლაშხიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამებრძოლებისა და მეგობრების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი და სამტრედიის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1931 წლიდან, პარტიის რაიონული კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი და რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი

ᲗᲐᲚᲕᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1931 წლიდან, ლვოვლემოსილი მეშახტე

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲛᲘ მოგვლინა განსაზღვრავს ჩეხოსლოვაკიის შემოდგომის პოლეკურ და მრომითს ცხოვრებას: დიდი ოქტომბრის იუბილეს, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ერთიანობის ერთფეროვანი და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრების კავშირის მომავალი ყრილობა, რომელიც ᲮᲣᲗᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ზეიმია და ერობრობის ერთფეროვანი ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ გახდება.

მეგობრობის ტრადიციული ერთფეროვნი იწყება 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის იუბილეს და მთავრდება დეკემბერს — 1943 წელს ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ასშემდგომი თანამშრომლობის ის ოფიციალური ხელშეკრულების დადების ეს, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი ორი ქვეყნების ურთიერთობის ეკონომიკურ პრინციპებზე — მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. დიდი ოქტომბრის ზეიმი, ომბრობის, ძმობის, ერთობის ზეიმი ეგა ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე. ორივ ყოველთვის, მისი დევიზია ბის ლოზუნგი „მარად საბჭოთა ერთან ერთად!“.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დღესასწაულიც არის, — ამბობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბორისლავ ზავადილი. — ეს იუბილე საშუალებას გვაძლევს ერთხელ კიდევ ყამოვთხატოთ ჩვენი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი, მისი ხალხისა და ხელოვნეანი კომუნისტური პარტიისადმი, ჩვენი დიდი მადლიერება ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ გაკეთა პირველმა სოციალისტურმა ქვეყანამ. საბჭოეთთან ბტკიცე და ურღვევი მეგობრობა გახდა ჩვენი ეროვნული და სახელმწიფო დაბრუკადებლობის გარანტია, სოციალისტური განვითარებისა და მოძავლის რწმენის გარანტია.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ საფუძვლად დაედო მეგობრობის კავშირის, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციების მთელ ფლეანდელ საქმიანობას. მთელ ქვეყანაში ეგრეიდა სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, უწინარეს ყოვლისა მშრომელთა აქტიური მონაწილეობისათვის მილიონთა ინტერნაციონალურ ძოძრაობაში — საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების საგასპორტო ფაბრიკებით და მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

მეგობრობის კავშირმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის დაიწყო „ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ოქრის წიგნი“. მასში შეეყენენ კავშირის პირველი ადგილი ორგანიზაციები, საწარმოების, ინსტიტუტების, სკოლების კოლექტივები, სოციალისტური შრომის ბრიგადები, რომლებაც საუკეთესო მაჩვენებლებს მია